KA030115111373918

№ 01-12568 **05 / ივნისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ესტონეთის ჯანდაცვისა და შრომის სამინისტროს ორგანიზებით მიმდინარე წლის 13-14 ივნისს, ესტონეთში, ქ. ტალინში ტარდება მაღალი დონის შეხვედრა თემაზე: „ჯანდაცვის სისტემა კეთილდღეობისა და სოლიდარობისთვის“. ღონისძიება ასევე ეძღვნება ტალინის ქარტიის ხელმოწერის ათი წლის იუბილეს.

შეხვედრაში მონაწილეობენ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ქვეყნების ჯანდაცვის მინისტრები, დარგის ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში, გათვალისწინებულია თქვენი სიტყვით გამოსვლა პირველ პლენარულ სესიაზე, რომელიც ეძღვნება სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამას გარდა, ტალინში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრა ესტონეთის ჯანდაცვისა და შრომის მინისტრთან ქალბატონ რინა სიკუტთან და ბელგიის სამეფოს სოციალური დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მინისტრთან ქალბატონ მაგი დე ბლოკთან, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გატარებული რეფორმების თაობაზე ინფორმაციის გაზიარებისა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით.

მაღალი დონის შეხვედრაზე ქართული მხარე მიწვეულია შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით სერგეენკო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრო;
2. ამირან გამყრელიძე - სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი;
3. სოფიკო ბელქანია - ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.

მიმწვევი მხარე უზრუნველყოფს დელეგაციის წევრების მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯების ანაზღაურებას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ თქვენთვის და ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სოფიკო ბელქანიასთვის შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას მიმდინარე წლის 12 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით, დღიური ნორმის და დამატებით თქვენთვის - დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია